

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №75

2020 წლის 6 თებერვალი

ქ. თბილისი

განახლებადი ენერჯის ეროვნული სამოქმედო გეგმისთვის ჰარმონიზებული ნიმუშის მინიმალური მოთხოვნების შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

„განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამტკიცეს თანდართული „განახლებადი ენერჯის ეროვნული სამოქმედო გეგმისთვის ჰარმონიზებული ნიმუშის მინიმალური მოთხოვნების შემუშავების წესი“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი

გიორგი გახარია

განახლებადი ენერჯის ეროვნული სამოქმედო გეგმისთვის ჰარმონიზებული ნიმუშის მინიმალური მოთხოვნების შემუშავების წესი

მუხლი 1. წესის მოქმედების სფერო

განახლებადი ენერჯის ეროვნული სამოქმედო გეგმისთვის ჰარმონიზებული ნიმუშის მინიმალური მოთხოვნების შემუშავების წესი (შემდგომში – წესი) განსაზღვრავს იმ მინიმალურ მოთხოვნებსა და მათი შემუშავების საფუძვლებს, რომლებიც უნდა იყოს გათვალისწინებული განახლებადი ენერჯის ეროვნული სამოქმედო გეგმის შედგენისას.

მუხლი 2. განახლებადი ენერჯის ეროვნული სამოქმედო გეგმის ჰარმონიზებული ნიმუშის მინიმალური მოთხოვნები და მათი შემუშავების საფუძვლები

განახლებადი ენერჯის ეროვნული სამოქმედო გეგმა უნდა ითვალისწინებდეს შემდეგი სახის ინფორმაციას:

ა) ენერჯის მოსალოდნელი საბოლოო მოხმარება – 2030 წლისთვის ენერჯის მთლიანი საბოლოო მოხმარება ელექტროენერჯიაში, ტრანსპორტში, გათბობასა და გაგრილებაში ენერგოეფექტურობის პოლიტიკის ღონისძიებების გავლენის გათვალისწინებით;

ბ) 2030 წლის ეროვნული დარგობრივი სამიზნე მაჩვენებელი და განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯის სავარაუდო წილები ელექტროენერჯიაში, გათბობაში, გაგრილებაში და ტრანსპორტში;

ბ.ა) ელექტროენერჯიაში განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯის წილის სამიზნე მაჩვენებელი 2030 წელს;

ბ.ბ) ელექტროენერჯიაში განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯის წილისთვის სავარაუდო ტრაექტორია;

ბ.გ) გათბობასა და გაგრილებაში განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯის წილის სამიზნე მაჩვენებელი 2030 წელს;



ბ.დ) გათბობასა და გაგრილებაში განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯის წილისთვის სავარაუდო ტრაექტორია;

ბ.ე) ტრანსპორტში განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯის წილისთვის სავარაუდო ტრაექტორია;

ბ.ვ) „განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტისა და I დანართის მე-2 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული ეროვნული საორიენტაციო ტრაექტორია;

გ) მიზნების მიღწევის ზომები:

გ.ა) ყველა პოლიტიკისა და ღონისძიების მიმოხილვა, რაც დაკავშირებულია განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯის გამოყენების ხელშეწყობასთან;

გ.ბ) კონკრეტული ღონისძიებები „განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13, მე-14 და მე-16 მუხლების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, მათ შორის, არსებული ინფრასტრუქტურის გაფართოების ან გაძლიერების საჭიროება განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯის მოცულობების ინტეგრაციის ხელშეწყობისთვის, რაც საჭიროა 2030 წლის ეროვნული სამიზნე მაჩვენებლის მისაღწევად, ზომები ავტორიზაციის პროცედურების დასაჩქარებლად, ზომები არატექნოლოგიური ბარიერების შესამცილებლად და ღონისძიებები, რომლებიც ეხება „განახლებადი წყაროებიდან ენერჯის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 – მე-19 მუხლებს;

დ) მხარდაჭერის სქემები ელექტროენერჯიაში განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯის გამოყენების ხელშეწყობისთვის, რომელსაც იყენებს საქართველო ცალკე ან ენერგეტიკული გაერთიანების მხარესთან/მხარეთა ჯგუფთან ერთად;

ე) მხარდაჭერის სქემები გათბობასა და გაგრილებაში განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯის გამოყენების ხელშეწყობისთვის, რომელსაც იყენებს საქართველო ცალკე ან ენერგეტიკული გაერთიანების მხარესთან/მხარეთა ჯგუფთან ერთად;

ვ) მხარდაჭერის სქემები ტრანსპორტში განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯის გამოყენების ხელშეწყობისთვის, რომელსაც იყენებს საქართველო ცალკე ან ენერგეტიკული გაერთიანების მხარესთან/მხარეთა ჯგუფთან ერთად;

ზ) კონკრეტული ღონისძიებები ბიომასისგან მიღებული ენერჯის გამოყენების ხელშეწყობის შესახებ, განსაკუთრებით ახალი ბიომასის მობილიზაციისთვის, შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით:

ზ.ა) ბიომასის ხელმისაწვდომობა – როგორც შიდა პოტენციალი, ასევე იმპორტი;

ზ.ბ) ზომები ბიომასის ხელმისაწვდომობის გასაზრდელად, ბიომასის სხვა მომხმარებლების გათვალისწინებით (სასოფლო-სამეურნეო და სატყეო სექტორები);

თ) საქართველოსა და ენერგეტიკული გაერთიანების მხარე(ებ)ს შორის სტატისტიკური ტრანსფერების დაგეგმილი გამოყენება და სხვა ხელშემკვრელ მხარეებსა და მესამე ქვეყნებთან ერთობლივ პროექტებში დაგეგმილი მონაწილეობა;

თ.ა) განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯის სავარაუდო ჭარბი წარმოება საორიენტაციო ტრაექტორიასთან შედარებით, რომელიც შეიძლება, გადაცემოდა სხვა ხელშემკვრელ მხარეებს;

თ.ბ) სავარაუდო პოტენციალი ერთობლივი პროექტებისთვის;

თ.გ) განახლებადი წყაროებიდან მიღებულ ენერჯიაზე სავარაუდო მოთხოვნა, რომელიც უნდა დაკმაყოფილდეს შიდა წარმოების გარდა სხვა საშუალებით;

ი) შეფასებები:



ი.ა) განახლებადი ენერჯის თითოეული ტექნოლოგიის მოსალოდნელი მთლიანი წილი 2030 წლის სავალდებულო სამიზნე მაჩვენებლების მისაღწევად, ასევე ელექტროენერჯიაში, გათბობაში, გაგრილებაში და ტრანსპორტში განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯის წილებისთვის საორიენტაციო ტრაექტორიის დასაკმაყოფილებლად;

ი.ბ) ენერგოეფექტურობისა და ენერჯის დაზოგვის ზომების მოსალოდნელი მთლიანი წილი 2030 წლის სავალდებულო სამიზნე მაჩვენებლების მისაღწევად, ასევე ელექტროენერჯიაში, გათბობაში, გაგრილებაში და ტრანსპორტში განახლებადი წყაროებიდან მიღებული ენერჯის წილისთვის საორიენტაციო ტრაექტორიის დასაკმაყოფილებლად.

